№ 14 იანვარი 21, ოთხშაბათი 1887 იანვარი 21, ოთხშაბათი № 14

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ [illegible] რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9) ბ) ლ. ბ. ხიდდეკელის გაზეთის საგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, გიმნაზიის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ჩათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ"

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 19 იანვარი

ამ წინაზე ჩვენა ვსთქვით, რომ უთვალავი და აუარებელი ნავთი ამიერ-კავკასიისა ვერ მოგვიხმარია და ლამის ეგ, ჯერ ხანად დაუშრობელი, წყარო სიმდიდრისა თავში საცემლად გაგვიხდესო. უმთავრესი მიზეზი ამ მოუხმარებლობისა ის არის, რომ ნავთის ბაზარში გასატანი სახსარი არა აქვთ. მართალია, ამიერ-კავკასიის რკინის გზა, რომელიც დღეს მუშაობს ბაქოსა და ბათომს შუა, ეზიდება დღე-მუდამ ნავთსა, მაგრამ იმოდენა ნავთის გადატანის ძალ-ღონე არა აქვს, რამოდენაც საჭიროა ნავთის სიმრავლის მიხედვითა. ბევრსა ჰლაპარაკობდნენ ვაგონების მომატებაზედ, მაგრამ რაც მომატება შესაძლო იყო, მოუმატეს და ეხლა თუნდა კიდევაც მოუმატონ, ვერას გახდებიან. იმიტომ-რომ მატარებლები საათში ერთხელ დაიარებიან და ამაზე ხშირად სიარული შეუძლებელია. როცა ამაზედ გული დააჯერეს რკინის გზის გამგებელთა და ნავთის მწარმოებელთა, მაშინ დააპირეს მეორე ლიანდაგის დაგება, რომ ნავთის საზიდავმა ვაგონებმა ორის გზით იარონ. უფრო მდიდართ ნავთის მწარმოებელთ აზრი მოუვიდათ, რკინის გზას თავი დაანებონ და მილები დააწყონ ბაქოდამ ბათომამდე და მილით ატარონ ნავთი. მეორე ლიანდაგის დაგებაზედ ლაპარაკი ამ ბოლოს დროს სრულიად შესწყდა, მილებით ნავთის გაყვანაზე კი დღესაც ბევრი ლაპარაკია.

ფიქრადა აქვთ მითამ შავი ნავთი გაიყვანონ მილითა იმ ზომით, რომ წელიწადში 50 მილლიონი ფუთი გავიდეს ბაქოდამ ბათომში. ამ ბოლოს ხანებში ისიც ისმის, რომ ეგ მილები სამტრედიის სადგურთან უნდა გაორტოტდეს, ერთი ტოტი წავიდეს ფოთზედ და მეორე ბათომზე. პროფესსორ მენდელეევის ანგარიშით ერთი ფუთი შავი ნავთი მილით გაყვანილი ბაქოდამ ბათომში დაჯდება არა უმეტესს 10—11 კაპეიკისა. ერთი უცნობი ავტორი „Биржевыя Вѣдомости"-ში ამტკიცებს რომ ფუთის ნავთის გადატანა ბაქოდამ ბათომში ცხრა კაპეიკზე მეტი არ დაჯდებაო. ამ სახით გამოდის, რომ ფუთი ნავთი თავის საფასურით და გზის ხარჯით 12—15 კაპეიკამდე დაჯდება ბათომში. რადგანაც იგივე ნავთი ამერიკას 20 კაპეიკად უჯდება და ამასთანავე ბათომში ჩატანილი ნავთი ევროპის ბაზარზედ უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკისა, ამიტომ, ბ-ნ მენდელეევის აზრით, ბაქოს ნავთს შეუძლიან ცილობა გაუწიოს ამერიკის ნავთსა და ამით ასწიოს და გაძლიეროს ჩვენი ცოცხალ-მკვდარი მრეწველობა ნავთისა. რასაკვირველია, ამ აზრის ასასრულებლად საჭიროა ბათომში გაიმართოს შავის ნავთის სახდელი და გასაწმენდელი ქარხნები, თორემ შავის ნავთის მუშტრის შოვნა ძნელია. ამასვე ჰფიქრობენ მილით ნავთის გატანის მომხრენი. ჩვენ ამაზედ ცალკე გვექნება საუბარი. ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ მილით ნავთის გადატანის საქმე ხაზინამ თავის ხელიდამ არ უნდა გაუშვასო, ამბობენ მილის მომხრენი, თვითონ მილებიც ხაზინამ თავისის ხარჯით უნდა დააწყოსო, თორემ თუ ცალკე კაცს მიეცა ამისი ნება, უსათუოდ მონოპოლიას გამოიწვევს და ეს მონოპოლია ბევრს ნავთის მექარხნეებს ბოლოს მოუღებსო.

გამოანგარიშებულია, რომ ნავთის გასაყვანად მილების დაწყობა და ერთობ ამისი ხარჯი 25 მილლიონს მანათს ფულს დაიჭერსო. ძნელად გასაბედია ხაზინისათვის ეხლანდელს გაჭირებულს დროში ამოდენა ფული ამ საქმეს მოანდომოს და აქ დააბანდოს. გარდა ამისა ერთი რამეც არის საფიქრებელი: მართალია ბაქოში ძლიერ ბევრი ნავთია და ჯერ არამც თუ დაშრობის, მომატების ნიშნებია, მაგრამ ადვილად საფიქრებელია, რომ ადრე იქნება, თუ გვიან იქ, საცა ეხლა ნავთი ამოდის, ოდესმე ბოლო უნდა მოეღოს ნავთსა. ამის შიშსა და ფიქრს მისცემია იმისთანა სპეციალისტი, როგორიც ცნობილი ინჟინერი სოკოლოვსკია. თუ მართლა აუცილებელია, რომ ოდესმე ბაქოს ნავთი კლებაში შევა, ამ მხრით გამოკვლევა საქმისა მეტად საჭიროა წინადვე, ვიდრე მილების დაწყობას შეუდგებიან. თუ ნავთის კლების დროს რკინის გზასთან მილებიც იქმნება, მაშინ ან ერთმა უნდა დაიშალოს ნავთის ზიდვა და მაშასადამე შემოსავალზედ ხელი აიღოს, ან მეორემ. ორსავე შემთხვევაში ხაზინა იზარალებს.

«БиржевыяВѣдомости»-ს ამ წლის № 8-ში ზემოხსენებული უცნობი ავტორი ამტკიცებს, რომ მილით ნავთის გაყვანა არავითარს სარგებლობას არ მოასწავებსო. იგი ამბობს, რომ მართალია, ეხლა გადატანა გაწმენდილის ნავთისა ფუთი 16 კაპეიკადა ჰღირსო, მაგრამ შეიძლება ეს ფასი $8^{1}/_{2}$ კაპეიკზედ ჩამოახდინოს კაცმა და მაინც კიდევ რკინის გზა მოგებაში იქმნებაო. მილით გაყვანილი ნავთი კი და მერე ბათომში გადაწმენდილი 18 კაპეიკად დაჯდება ფუთიო. ამის დასამტკიცებლად აი რა ანგარიში მოჰყავს: შავის ნავთის გადატანა ბათომში მილითა დაჯდება ფუთი 9 კაპეიკად. ორის ფუთის შავის ნავთიდამ გამოიხდება წმინდა ნავთი და სხვა სახმარი და სასარგებლო ზეთები სულ ერთად მარტო ერთი ფუთიო; მაშასადამე ფუთი გადაწმენდილი ნავთი თავის ზეთებით 18 კაპეიკი მოდისო. ესეც მაშინ დაგვიჯდება, როდესაც მილით გავიყვანთ შავს ნავთს ყოველ წლივ 50 მილიონ ფუთზედ არა ნაკლებ. თუ რაიმე მიზეზით ამ რიცხვმა იკლო, მაშინ ის ორი ფუთი შავი ნავთი, რომელიც მარტო ერთს ფუთს წმინდა ნავთს აყენებს თავისის ზეთებით, 18 კაპეიკზედ უფრო ძვირად დაჯდებაო, იმიტომ-რომ ხარჯი ერთი და იგივეა ერთს მილიონ ფუთს გამოიყვან მილებში, თუ ორმოც-და-ათს მილიონსაო. რკინის გზას კი, ბევრი ექმნება გადასატანი, თუ ცოტა, შეუძლიან რვა კაპეიკ-ნახევრად ჰზიდოს ბაქოდამ ბათომამდე ნავთი და არა იზარალოს-რაო.

ამ სახით, საუბარი და ბაასი დიდია და ამასობაში არც რკინის გზა ჰფიქრობს ნავთის გადასატანი ფასი $8^{1}/_{2}$ კაპეიკზედ ჩამოახდინოს და არც მილის დაწყობას შესდგომია ვინმე. მინამ ან ერთისაგან გამოვა წყალობა, ან მეორისაგან, ნავთის მწარმოებელთ სული ეხუთებათ და სიმდიდრის ტბებში მცურავთა ლამის შიმშილისაგან სული ამოუვიდეთ. მოდით და ნუ გაოცდებით!..

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის ბანკის გამგეობას აზრად თურმე აქვს თეატრი არწრუნისეულს ქარვასლაში ისე გადააკეთოს, რომ წარმოდგენებისათვის უფრო ლა-

---

ფელეტონი

ეთნოგრაფიული წერილები

(წერილი მეშვიდე)

ხევსურულს ქორწილსაც ცხადად ეტყობა პროზაული ხასიათი. ასეც უნდა იყოს, რადგანაც ხევსურს მეტად ნაკლებად რგებია ის უზენაესი ნიჭი, რომელსაც პოეტურს ნიჭს ეძახიან. გულ-დახურული, დაღვრემილი, დინჯი ხევსური სრულებით არა ჰგავს ხასიათით თავის მოძმეებს, აი თუნდა ფშაველებს, რომელნიც პოეტურის ნიჭით და მიმართულებით მართლაც რომ შესანიშნავნი არიან. ხევსური კი სულ სხვაა: იმის თვითოეულს მოქმედებაში უფრო აზრი იხატება, ვიდრე გრძნობა, თუმცა უმეცრებისა გამო, თვით აზრსაც ძალა და ღონე აკლია. გრძნობის სილატაკე ცხადად გეხატებათ და შორს რომ არ წავიდეთ, ამას ქორწილის აღწერითაც დაგიმტკიცებთ.

ჯერ ის უნდა შევნიშნოთ, რომ ხევსური მაგრე რიგად არ ეწყობა ეკკლესიურს ქორწინებას და, თუმცა ქრისტიანად რაცხს თავის თავსა, მაგრამ „კერპულს" ცოლის შერთვას ამჯობინებს. რადგანაც „ხუცი" ხევსურის მღვდელია, ამიტომ დაქორწილებაც იმის ხელობაა,—ქორწინების დროს იგი „ხუცობს": ჰლოცავს ცოლქმარს, აკურთხებს პურს, საკლავს, ლუდს... ხევსურს აქამომდე ვერ შეუთვისებია ეკკლესიური სწავლა-მოძღვრება ქორწინებისა. ხევსურის აზრით, ქორწინება ცარიელი პირობაა და სხვა არაფერი. ეს რწმენა ძველ დროთა ნაშთია და ხევსური ხომ ყველა ძველს ჩვეულებას დიდს პატივსა სცემს...

როგორც საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილას, აქაც მაყრიონი იციან. ცოლის მოსაყვანად საქმრო მაყრებს როდი გაჰგზავნის, არა,—ის მარტო ორ მოხუცებულს კაცს, უფრო ნათესავებს, გაუგზავნის ქალის ოჯახს და შეუთვლის მზადა ვარ და საცოლო გამამიგზავნეთო. პატარძალს მაყრებად იმის სოფლელები გამოჰყვებიან და თითონ პატარძალი ამ კაცებს უეჭველად ფეხით უნდა მისდევდეს; ცხენზედ შეჯდომა სირცხვილია. როცა მაყრიონი ნეფის სოფელს მიახლოვდება, მიეგებებიან საქმროს სოფლელები, ჭურჭლით არაყს დაახვედრებენ და სოფელში მიიპატიჟებენ. რაც შორს მიეგებებიან, ის უფრო დიდი პატივია. ამასთანავე მაყრიონს სხვა-და-სხვა ადგილას უნდა დაუხვდნენ არაყითა. სოფელში მაყრებისათვის ცალკე ოთახია მომზადებული და პირველად ქალის მაყრიონი უნდა შევიდეს იმ ოთახში და მიიპატიჟოს საქმროს სტუმრები,—სახლი ჩვენიაო, რადგანაც ქალი მოგვარეთ და სტუმრების დაპატიჟებაც ჩვენ უნდა გვეკითხებოდესო. სოფელში მისვლის უმალვე პატარძალს ქალები შემოეხვევიან და, სადაც უფრო ბნელა, იქ დასვამენ, რომ ქმარმა არ დაინახოს. ხევსურეთში დიდი სირცხვილია, რომ ქმარმა პატარძალს თვალი მოჰკრას. თითონ პატარძალი „უჩინარს" კუთხეში ზის, ქმარს „ემალება", „რცხვენის". ქალები ცალკე არიან და კაცები კიდევ მარტო ქეიფობენ. თუ სადმე ქეიფია, რასაკვირველია, კაცები ქეიფობენ—ფანდურს უკრავენ, მღერიან, თამაშობენ. ქალებს კი ამ გვარი ლხინი აკრძალული აქვთ, რადგანაც, ჩვეულების ძალით, მდედროვანის შუშპრობა არ შეიძლება. პატარძალი ერთი ან ორი კვირა უნდა დარჩეს ქმრის სახლში და ამ დროს განმავალობაში ქმარს ვერ დაენახვება, თუმცა კი სახლში საქმიანობს. ქმარმა არც კი იცის, სადა ჰსწევს იმისი დიაცი. დიაცთან დაწოლა ხომ არას გზით არ შეიძლება; თუნდაც რომ ჩუმად მოხერხდეს, ბოზობაა და ბოზობა ხომ ხევსურის თვალში დიდს დანაშაულობას შეადგენს.

ერთისა, ან ორის კვირის შემდეგ სიძეს მოუვლენ ქალის ოჯახიდგან მოციქულები—ჩვენ ეხლა მზადა ვართ, მოდით და ქალი მოგვგვარევითო. მეჯვის მაყრები გაჰყვებიან პატარძალს მამის სახლში, სადაც დამზადებულია საქორწილო ნადიმი. ქმარი თავის სახლში უნდა დარჩეს. ქალი მამის სახლში დაჰყოფს ხშირად ერთს წელიწადს, ან ცოტა ნაკლებს და ამ დროს განმავლობაში სიძეს ვერ შეუძლიან თავისი ცოლი ნახოს; ასე გასინჯეთ, იმის სოფელშიაც კი ვერ გაივლის. მხოლოდ ერთის მიზეზის გამო შეიძლება პატარძალი თავის ქმრის ოჯახში დარჩეს და მამის სახლში არ დაბრუნდეს,—ეს მაშინ, როცა ქმარი მარტო ხელია და სახლში მამველელი არავინა ჰყავს. უამისოდ პატარძალი უეჭველად მამის ოჯახში უნდა წავიდეს და იქ უნდა მუშაობდეს. როცა ვადა გავა (ვადა გარიგებაზედ არის დამოკიდებული), ძმა ან სხვა ვინმე ახლო ნათესავი ქალს წაიყვანს ქმრის სახლში. თითონ ქმარი იმის წამოსაყვანად გაგზავნის ერთს-ორს თავის ახლო ნათესავს. ქალი წაიღებს თავის „სათავნოს" (მზითევი), ტალავარს და ფეხით მიადგება ქმარს ოჯახში. მაშინ მაყრიონი საჭირო არ არის, მარტო ხუცია საჭირო. ხუცმა უნდა უკურთხოს ცოლქმარს ტაბლა (ერბო, ყველი, საკლავი არ შეიძლება), მხრებში ძაფით გადაბავს (დაკავშირების ნიშანი) და

მაზი, გამშვენიერებული და ფართო იყოს, მისი დარბაზები სატანციო ზალებადაც გამოდგეს და თუ ოდესმე ტფილისში ბირჟა იქმნება, ბირჟის დარბაზადაც მოსახმარებელ იქმნას.

⁂ ერთს მცოდნე კაცს ბანკისათვის წინადადება მიუცია, გაზის ქარხანას ბანკისას, რომელიც ეხლა თავის დანიშნულებას სასურველად ვერ უძღვება, ან მე გადავაკეთებო ისე, რომ აქედამ გაზი სასახლის ქუჩაზედაც გავიყვანო ბევრად უკეთესი იმაზედ, ვიდრე ეხლანდელი გაზიაო, ან თქვენ თითონ გააკეთეთო. ამისათვის საჭირო გეგმა უკვე წარუდგენია კიდეც ბანკის გამგეობისათვის და გამგეობასაც ამ საგანზედ ლაპარაკი აქვს იმ კაცთანა.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჟურნალ „Рус. Мысль"-ის რედაქციის თხოვნით ერთს ყმაწვილს კაცს გადუთარგმნია რუსულად „ელისო", მოთხრობა ჩეჩენთ ცხოვრებიდამ ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა) ამ ჟურნალში დასაბეჭდად. ყმაწვილს კაცს ჰსურს თურმე ამ მოთხრობას წინ წაუმძღვაროს მცირეოდენი ბიოგრაფიული ცნობანიცა მოთხრობის დამწერის შესახებ.

⁂ ჩვენ გვწერენ რუსეთიდამ, რომ ერთ-ერთს ჩვენს პროფესორს შეუდგენია ქართული გრამატიკა და დასაბეჭდად ამზადებსო.

⁂ სურამიდამ გვწერენ: ამ თთვის 16-ს, ღამის 7-ს საათზე, ხაშურის სიახლოვეს, სოფ. ოსიაურში, ორთქლით მატარებელმა გასრისა გლეხ კაცი, გვარად ტასოშვილი „ოქროს-სოფელში" მცხოვრებელი. გამოძიება სწარმოებსო.

⁂ იქიდამვე მოგვივიდა შემდეგი ამბავი: თითქმის ხუთი წელიწადია, რაც ზემო-ქართლში და ზემო-იმერეთში ამისთანა დიდი თოვლი არ მოსულაო. ამ ჟამად ორ-ნახევარს არშინამდე თოვლი მოვიდა და კიდევაც ემატება, რადგანაც ეს თოვლი მშრალს დედა-მიწაზეა მოსული, ამიტომ წრეულს დიდის მოსავლის იმედი უნდა გვქონდეს, თუ მეტადრე გაზაფხულიც თბილი და წყნარი დაუდგა ჯეჯილებსაო. ამ ახლად მოსულმა თოვლმა რკინის გზით მისვლა-მოსვლა ზესტაფონიდგან ხაშურამდის სრულიად მოსპო.

⁂ ქართლიდამ გვწერენ, რომ სურამს ქვემოდ, ფრონის ხეობაზე, საკვირველი ცუდი ამინდები დაგვიდგაო. 10 იანვრიდამ დაიწყო ასეთი ამინდები და აღარ დაწყნარდა ჰაერიო. თოვლი ნახევარ არშინამდე დასდო; ქარი განუწყვეტლივ ჰქრის; ჰაერში კორიანტელი სდგას და მინდორი თეთრად არის გადალესილიო.

⁂ წრევანდელის ზამთრის თაობაზედვე აი რასა გვწერენ ვლადიკავკავიდამ: 11 იანვრამდე აქეთკენ რიგიანი თოვლი არ მოსულაო. 11, 12 და 16 იანვარს დაიწყო თოვლა. თოვლი მოვიდა ფქვილი, ასე 12 გოჯის სიმაღლედაო. თოვლს თან მოჰყვა საშინელი ყინვები და სუსხიანი ქარიო. ეს ორი დღეა ქარი ჰგლეჯს აქაურობასაო.

⁂ იქიდამვე გვწერენ: სოფ. ოლგინსკაში მოხდა ერთი შემაძრწუნებელი მკვლელობა. აი როგორ იყო საქმე: ორნი ძმანი, რომელნიც ერთად იდგნენ, გაიყარნენ. დედა უმცროს შვილთან გავიდა. ამ ორს ძმას ერთი ორ ლულიანი თოფი ჰქონდათ, და რადგანაც გაყრის დროს ძმებს ლაპარაკი მოუვიდათ ერთმანერთში, ამიტომ დედას დაემალა ის თოფი, იმ განზრახვით, რომ ძმებმა ერთმანერთს არაფერი ვნება არ მისცენო. უფროსს ძმას დაეწყო ჩუმად ძებნა და ეპოვნა თოფი. უმცროსმა ძმამ არ იცოდა, თუ უფროსმა თოფი იპოვნა, მივიდა უფროსთან და უთხრა, თუ რამე ლოგინი მერგება, მომეცი ბარემაო. ამ დროს უფროსი ძმა სახლის წინ აივანზედ იდგა და თოფი ისე ეჭირა ზურგს უკან, რომ უმცროსმა ძმამ ვერ შეამჩნია. ძმების ლაპარაკს დედამ თვალი შეასწრო და დაუძახა უმცროს შვილს, მოკვლას გიპირებს, მოეცალეო. დედის ხმაზედ უმცროსმა ძმამ აქედ-იქით ყურება დაიწყო და ამ დროს საფეთქელში დასცა უფროსმა ძმამ თოფი და იქვე წააქცია. წაქცეულს ძმას მეორედ კიდევ დასცა თოფი მხარში და საუკუნოდ გამოასალმა ქვეყანას.

⁂ ამ ჟამად ტფილისში სულ 700 მეორე გილდიის ვაჭარი ყოფილა. ამათში სამუდამო ვაჭარი 376 და დროებითი—298. პირველის გილდის ვაჭარნი ყოფილან სულ 53 კაცი.

⁂ კვირას ძრიელის ქარის გამო ქვეითა მოაჯირი კუკიის ხიდისა თითქმის ორ-არშინის სიგძეზე გამოიმტვრა და ამ ამბავმა კინაღამ ერთი საწყალი მუშაც არ იმსხვერპლა. მუშას მიჰქონდა თურმე კუბო და ქარმა ისე დააჯახა საცოდავი მოაჯირს, რომ მოაჯირი გამოიმტვრა, კუბო წყალში გადავარდა და, გამვლელთ რომ არ ეშველნათ, მუშაც თან გადაჰყვებოდა კუბოსაო. («ნოვ. ობოზ.»)

⁂ სომხური საკვირაო გაზეთი «არძაგანკი» სწერს, რომ ბათუმში მალე დაარსდება იქაურ სომხის ეკკლესიასთან სამრევლო სკოლაო.

⁂ გაზ. «ყარსი» ამბობს, რომ 16 იანვარს ყარსის გუბერნატორი ტფილისს წავიდა და უნდა დაესწროს მთავარ-მართებლის საბჭოს კრებაზე, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, რა ხარჯი უნდა გაიღონ მოსლემინებმა იმის მაგიერ, რომ ისინი სამხედრო ბეგარას არ გადიხდიან და ჯარის-კაცებად არ იქმნებიან გამოყვანილნიო.

⁂ ამ დღეებშიო, ამბობს გაზ. «კასპი», ბაქოში მოვიდა დიდ-ძალი ძროხის ერბო ხივიდამაო. ფუთი ამ ერბოსი ისყიდება 3 მ. და 3 მან. და 20 კაპეიკადაო. ეს ერბო მოიტანა გემმა «თამარმაო».

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ბაქოში გავრცელებულია ამ ჟამად ხუნაგი, ყვავილი და ჩუტ-ყვავილა. ლამის სულ გასწყვიტოს ამ მოარულებმა ყმაწვილებიო.

⁂ «Эконом. журналъ»-ი ჩამოსთვლის, რა და რა ახალი მადნეულობა და სიმდიდრე აღმოჩენილა კიდევ სხვათა-შორის საქართველოშიო. იმერეთში აღმოაჩინეს ისეთი თიხა, რომლისაგან გამომწვარს აგურს ცეცხლი ვერას აკლებსო; სამეგრელოში იპოვეს ძალიან კარგის თვისების ქვა-ნახშირიო; ტფილისს ახლოს ქინაქინის ხე აზარეს და ახლა იმის ქერქიდამ ქინაქინას ამზადებენო, და სხვანი.

⁂ ამას წინადაო, ამბობს გაზ. „Рус. Вѣд"-ი, დაიბეჭდა მოსკოვში წიგნი «კავკასია», მგზავრის შენიშვნები გრაფ უვაროვის მეუღლისა. ამ წიგნს დამწერი უძღვნის გარდაცვალებულის უვაროვის ხსენებას. წიგნში მოთავსებული წერილები ის შენიშვნებია, რომლის დაბეჭდვა გრაფის მეუღლეს აზრად არა ჰქონია და უწერია მხოლოდ თავის სიამოვნებისათვის 1879—1881 წელს არხეოლოგიურის მოგზაურობის დროს კავკასიაში. ამ წიგნში ბევრი რამ არის საინტერესო ოსებზე, იმათ ძველს ნაშთებზე, ტფილისის მუზეის არხეოლოგიურს ნივთებზე, ქუთაისის ძველს ტაძარზე, გენათის მონასტერზე და სხვანიო. საინტერესოა ეგრეთვე შენიშვნები სამეგრელოზე, ეჩმიაძინზე და ამ მონასტრის ბიბლიოთეკაზეო. წიგნში სურათებიც არის ჩართულიო.

⁂ 19 იანვარს, ტფილისის საპატიმრო ცეხჰაუზში, სადაც შენახულია პატიმართა საკუთარი და სახელმწიფო ნივთები, გაჩნდა ცეცხლი. 80 ცალი საცვალი დაიწვა. სახლს არა ვნებია-რა. ცეცხლი შინაურულად გააქრეს. ცეცხლის გაჩენის მიზეზის შესატყობად გამოძიებაა დანიშნული.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ევროპას დღეს სრულიად დაავიწყდა შინაური საქმეები: არც ერის კეთილ-დღეობა, არც მრეწველობა და ვაჭრობა ფიქრად აღარ მოსდის. მთელი ჭკუა და გონება, მთელი ძალა და ღონე დღეს იმაზე აქვს მიმართული, რომ მეტი თოფ-იარაღი ვიქონიოთ, მეტი ხალხი ვიყოლიოთო. ამიტომ არც ერთი სახელმწიფო არ არის დღეს ევროპაში, რომ კისერზე აუარებელი ვალი არ აწვეს. მთელი ევროპა სწუხს და დრტვინავს და ხარჯი-კი მატულობს და მატულობს. სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს ამერიკა. ამერიკაში სიმდიდრე, ერის კეთილ-დღეობა სდუღს და თავს გადადის. ამერიკაში არც კი იციან, რა არის სახელმწიფო ვალი. რა არის ამის მიზეზი? აი რა:

> ამერიკაში მრეწველობა და ვაჭრობა საოცარ წარმატებაში შედისო, გვითხულობთ გაზეთ „Современныя Извѣстія"-ში. წარსულის წლის მარტო უკანასკნელ თთვეებში ამერიკაში გაუმართავთ 722 ფაბრიკა და ქარხანა. ამ ფაბრიკ-ქარხნების პატრონები 100 მილიონ ფულს ატრიალებენ. გარდა ამისა იმავე დროს შემდგარა 66 რკინის-გზის საზოგადოება. ამის გამო მიწასაც ფასი ემატება.

შვიდას ოც-და-ორი ფაბრიკა და ქარხანა და სამოც-და-ექვსი საზოგადოება რამდენისამე თთვის განმავლობაში! უცნაური ქვეყანა არ არის ამერიკა! 100 მილლიონსა ჰხარჯავს რაღაცა ქარხნებზე! რამდენს ზარბაზანს ჩამოასხამდნენ ევროპაში ამ ფულით?!.

⁂

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი",—სწორედ ეს და ეთქმის დღეს მოხუცს ცანკოვს, რომელმაც თავის ორპირის ქცევით და მოქმედებით ერსაც თავი შეაძულა და საქმესაც ვერა უშველა-რა. რომ ცანკოვი ბოლგარებს ძალიანა სძულთ, შემდეგი ამბავი გვიმტკიცებს, რომელიც გაზეთს „Русскія Вѣдомости"-ს ფილიპოპოლის გაზეთის „Neologos"-იდამ ამოუკითხავს.

> რკინის გზის მატარებელი შესდგა ფილიპოპოლის სადგურზე. ცანკოვმა რომელიც სტამბოლში მიდიოდა სულთანთან მოსალაპარაკებლად ბოლგარიის საქმეების თაობაზე, ვაგონიდამ გამოსვლა დააპირა. გამოყო თუ რა თავი ვაგონიდამ, ცანკოვს დიდ-ძალი ხალხი შემოეხვია საშინელის მუქარით და ლანძღვა-გინებით. ხალხი გაშმაგებული იყო და ცანკოვს ცუდი დღე დაადგებოდა, თუ საჩქაროდ ისევ ვაგონში არ დაბრუნებულიყო და თავისთვის არ ეშველა.

აი როგორ მიიღეს ის კაცი, რომელიც ერთს დროს მინისტრად იყო და მთელს ბოლგარიას განაგებდა.

ცანკოვი რამდენჯერმე გამოჩნდა ვაგონის ფანჯარასთან, რომ ეთქვა რამე და ხალხი როგორმე დაემშვიდებინა ღრმად მოხუცი, მთლად გათეთრებული ცანკოვი ეუბნებოდა ხალხსა:

> შვილებო, მე მამულის მოღალატე არა ვარ: ჩემი მშობლები ბოლგარები იყვნენ. თქვენ ჯერ ახალგაზდა და გამოუცდელები ხართ. დიდს გაჭირებაშია ჩვენი ქვეყანა. ეცადეთ, რომ მერე სანანულად

დედამთილმა კიდევ ცალკე ოთახი მოუმზადოს ძაფით გადაბმულებს. მაშინ ცოლ-ქმარი იგემებენ იმ სიტკბოებას, რომელიც „პირველ ღამეს" თან მოსდევს...

ჩვენ მოვიხსენეთ ქალის „სათავნო", მზითევი. საზოგადოდ რომ ითქვას, ხევსურები ღარიბნი არიან და თუ სიღარიბეს ისე ვერა ჰგრძნობენ, როგორც საქართველოს სხვა ადგილებში, ამას იმიტომ რომ მათი ცხოვრება მარტივია, მოთხოვნილება ნაკლები აქვთ და გარდა ამისა ყველაფერს შინ აკეთებენ, სასყიდელი არა უნდათ-რა. ხევსურის სიმდიდრეს საქონელი შეადგენს. ქალსაც სათავნოდ საქონელი ეძლევა. მამის ოჯახში პატარაობისავე მას მისცემენ ერთს სულს საქონელს—ცხვარს, თხას, ხბოს ან ძროხას და ეს გახლავთ ქალის მზითევი. სათავნო საქონლის ნაშენი სულ ქალისაა და ოჯახი ვერ შეეხება. ამის მაგიერად, ქალის ნაღვაწევი, იმის გათხოვებამდე, მამის ოჯახსა რჩება. ეს ნაღვაწევი კარგა თვალ-საჩინოა,—არ უნდა დაივიწყოთ, რომ ხევსურელი ქალისთანა გამრჯელი და მუშაქალი თითქმის არ შეიძლება საქართველოში; იმისი ხელ-საქმიანობა, შალის რთვა და ტალავრის შეკერვა საოცრად დაგრჩებათ; ამას ისიც დაუმატეთ, რომ ოცის წლისაზე ადრე ქალს არ გაათხოვებენ და მაშინ შეიტყობთ,—თუ რა არის მამის ოჯახისათვის ქალის ნაღვაწევი. გათხოვების შემდეგაც სათავნო ქალის კერძო საკუთრებაა, თუმცა ნაშენ-მონაგებარიკი ქმრის ოჯახს ეკუთვნის; სათავნო რომ დაიღუპოს, თუნდა შემთხვევითაც, ქმრის ოჯახმა უნდა ააყენოს,—ქალის ყოფნა არ შეიძლება, თუ თავისი საკუთრება არა აქვს.

არსებითი ხასიათი ქონებრივის დამოკიდებულებისა ცოლ-ქმართა შორის მდგომარეობს ქონების განცალკევებაში: ცოლსა და ქმარს ერთი-ერთმანერთის ქონებაზედ ხელი არ მიუწვდებათ, ისინი ერთი-ერთმანერთის ქონებას ვერ დაისაკუთრებენ, თუმცა კი ზოგიერთა შემთხვევაში ქმარს უფლება აქვს სათავნო დახარჯოს, ისიც იმ პირობით, რომ დახარჯული აუყენოს თავის დიაცსა. ცოლს-კი ქმრის სიცოცხლეში არ შეუძლიან იმის ქონებას შეეხოს, მაგალითად, გაჰყიდოს იმისი საქონელი, იარაღი და სხვ; მხოლოდ დაქვრივებულ დიაცსა აქვს ამის ნება. ერთად-ერთი გარემოება სცვლის კერძო საკუთრების ხასიათს, ამ საკუთრებას საოჯახო საკუთრებად ხდის და ეს გარემოება სიკვდილია: ქმარმა ცოლი თავის ხარჯით უნდა დამარხოს და ეგრეთვე ცოლმაც თავისი სათავნო ქმრის დამარხვას უნდა მოახმაროს, როცა ამ უკანასკნელს სამარხი არა რჩება.

თუ სადამდინ მიდის ხსენებული ქონებრივი განცალკევება, სჩანს იმით, რომ ქმარს არ შეუძლიან ცოლს აჩუქოს რამე თავის ქონებიდამ. ეგრედ წოდებულის ანდერძით გადაცემა ქონებისა ხომ არ შეიძლება,—ჩვეულებითმა სამართალმა ანდერძი სრულებით არ იცის და მემკვიდრეობა კიდევ იმას თხოულობს, რომ ცოლ-ქმარს ერთი-ერთმანერთის ქონების მიღება არ შეუძლიანთ. ერთის სიტყვით, კერძო-საკუთრება მეტად სასტიკად არის განხორციელებული და სათავნო სრულებით ცალკე ქონებაა, რომელსაც საოჯახო ქონებასთან საერთო არა აქვს-რა. სიკვდილის შემდეგ ეს სათავნო ვაჟიშვილებს რჩება და ისინი იყოფენ თანასწორად; ქალს მარტო დედის ტალავარი ერგება, სხვა არაფერი. ვინიცობაა, დიაცს არც ვაჟიშვილი დარჩა და არც ქალი, მაშინ სათავნო იმისია, რომელიც დიაცს მოუვლის და დამარხავს. ამ მოვლის და დამარხვის უფლება მხოლოდ ქმრის გვარეულობასა, იმის ნათესაობასა აქვს და სხვას არავის; რასაკვირველია, სათავნოც ქმრის მონათესავეებს რჩება.

როგორც უკვე შევნიშნეთ, სათავნოს გარდა ქალს არა ერგება-რა მამის ქონებიდამ; სამკვიდრებელი, საოჯახო მამული ვაჟი-შვილებისაა და ქალს მასზედ ხელი არ მიუწვდება; როგორც ძველი ჩვენი სამართალი (ვახტანგის კანონი), ისე აქაური ჩვეულება უარ-ჰყოფს ქალის მემკვიდრეობას და როცა მამას ვაჟი-შვილები არა ჰყავს, არც ნათესავები, მაშინ იმის ქონება სოფლისაა, თემს აქ ხელი არა აქვს.

როგორც მკითხველმა იცის, ცოლის გაგდება აქ, ხევსურეთში, ადვილი საქმეა, თუმცა არც ამ საქმის ჩადენა შეიძლება უმიზეზოდ. რასაკვირველია, ცოლსაც შეუძლიან ქმარს თავი დაანებოს, მაგრამ ამ გვარი საქციელი კაცისათვის დიდად სამარცხვინო და სათაკილოა; ქალმა თავ-დანებებულს ქმარს პირობა უნდა მისცეს, რომ ის სხვას არ მისთხოვდება, საუკუნოდ უქმროდ დარჩება. ამას „კვეთილში ჩასმას" ეძახიან და თუ „კვეთილში ჩასმულმა" გასტეხა პირობა, სიკვდილისაგან ველარა იხსნის-რა; სხვა ბედი არც იმას მოელის, რომელიც „კვეთილში ჩასმულს" შეირთავს,—იმასაც სიკვდილის აჩრდილი განუშორებლად თან დასდევს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ქმარი კი მარტო «სამწუნობროთი» და „ნამაშვრალით" ათავებს საქმეს გაგდებულ ცოლთან.

რა არის მიზეზი ამ გაგდებისა?—მიზეზი სხვა-და-სხვაა: ცოლის ბოზობა, რაიმე ცუდი საქციელი, მაგ., ქურდობა, დასნეულება, გაუმრჯელობა, ხანდის-ხან ლამაზის ქალის მოწონებაც. როგორც ჰხედავთ, თვითოეული ამ მიზეზთაგანი, ბოზობის გარდა, მსუბუქი მიზეზია და თუ დასახელებულ მიზეზთა გამო ხევსურს ნება აქვს ცოლს

არ გაგიხდეთ საქმე, გვიანღა იქნება. შეურაცხყოფას მაყენებთ და თანა მკითხავთ რისთვის მისდიხარ სტამბოლშიო. რომ იცოდეთ...

ხალხი ისე იყო გაშმაგებულიო, —ამბობს იგივე გაზეთი, რომ, თუ პოლიცია არ ჩარეულიყო საქმეში, ცანკოვს უთუოდ რაიმე უბედურება შეამთხვევდაო.

მართალი იყო ხალხი, რომ ასეთი შეურაცხყოფა მიაყენა ცანკოვს, თუ არა?.. არას ვიტყვით.

წერილები რედაქციის მიმართ

I

წარსულის წლის მე-279 ნომერში თქვენის პატივცემულის გაზეთის მეთაურს წერილში მოხსენებული იყო რამდენიმე სიტყვა შესახებ «გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა», რომელნიც დაარსდნენ თითქმის ჩვენის ქვეყნის ყოველ მხარეში და ეხლა კი, სამწუხაროდ, მხოლოდ სამი ან ოთხი მოქმედებს, ისინიც ვაი-ვაგლახით. დაარსება ყოველ ამ გვარ „პაწია კრედიტებისა“, როგორც თქვენი პატივცემული გაზეთი ბრძანებს, ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო იქნებოდა და იქნება ჩვენის ხალხისათვისაო. დიახ, მართალი და კარგი სიტყვაა! მაგრამ რა იქნენ ეს ყოველ მხარეში მოდებული ამხანაგობანი, რა იქნენ ამისთანა სასარგებლო და გაჭირებაში გამოსადეგი დაწესებანი? დაიკეტნენ? მიზეზი? ჩვენ თანა ვუგრძნობთ თქვენის გაზეთის სიტყვებს, გვესმის „ალაპლაპებულ-გატაცებულ“ საქმის დაცხრომის მიზეზი. მხოლოდ საჭიროდ ვსთვლით, დავუმატოთ გაზეთის საფუძლიან სიტყვებს, რომ უპირველესი მიზეზი ამხანაგობის გაუქმებისა ის არის, რომ 1) ნასესხი ფული დროზედ არ შემოჰქონდათ, და 2) ერთის ხელში ტრიალებდა ამხანაგობის ფული.

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ გლეხი კაცი ძნელად გადასულა ვალის გადახდის ვადას და რაც შეეხება კი თავად-აზნაურობას, სჯობს გაჩუმდეთ. ჩვენ ვამბობთ, როგორც გამოცდილი ამ საქმეში და როგორც მმართველი ამხანაგობისა. გლეხ-კაცს კარგად ესმოდა ამხანაგობის სარგებლობა. მაგალითად, ავილოთ ჩვენი ამხანაგობა, რომელიც შემდგარია სოფ. ახალ-ქალაქში, გორის მაზრაში, სადაც სომხობა და ქართველობა სცხოვრობენ. არა ერთს კინწ-გადაგდებულს გლეხკაცს კვნესით უხვეწნია რომელისამე „სვავისათვის“, რომ ერთი-ორი „გროში“ ესესხებინა დიდის სარგებლით, ესე იგი 8—12% თვეში, და ახლა კი იგივე გლეხი არხეინად მიდის თავის საამხანაგოში, სადაც თვეში მხოლოდ ერთს % აძლევს, და ეს ერთი %-იც ერთის წლის შემდეგ უბრუნდება უკანვე თავისის მოგებით. მაშასადამე, რა შეღავათს აძლევს ამხანაგობა თავის მოძმე წევრსა: უნახავს თვეში 11%, რომელიც უნდა ჩაჩხრიალებულიყო ვილაცის ჯიბეში. ხომ არსებობს ქ. ტფილისში „გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა კამიტეტი“ თავის წესდებულებით, რომელიც ვალად სდებს დააჯეროს ხალხი, რომ «ამხანაგობა» სასარგებლოა და ანგარიშებიც დაბეჭდოს. ნუ თუ კამიტეტმა მიიძინა ან სულ გულიდამ ამოიყარა «ამხანაგობანი». ცუდი არ იქნება, რომ კამიტეტმა ხმა ამოიღოს. ხშირად იძულებულნი ვართ, რაიმე საქმეში რჩევა და დარიგება პეტერბურგის კამიტეტსა ვკითხოთ, საიდანაც თთვე ნახევარზე ძლივს მივიღებთ ხოლმე პასუხსა; რომ გვინდოდეს კიდეც ტფილისის კამიტეტს მივმართოთ, სწორედ არც კი ვიცით, კიდევ არსებობს თუ გაუქმდა, და თუ არ გაუქმებულა, იქნება თქვენის გაზეთის წყალობით შევიტყოთ და კვლავ ჩვენი საქმეები პეტერბურგის კამიტეტის მაგიერ, ისევ მანდ შევატყობინოთ ხოლმე. აგრეთვე ვსთხოვთ იმათ, ვინც აწარმოებენ ამხანაგობის მმართველობას, მოიხსენიონ ხოლმე გაზეთებში, ანგარიშები, წარმოება და მოკლედ შინაარსი საზოგადო კრებების განაჩენებისა. ამ მოკლე ხანში ჩვენს ანგარიშს წარმოვადგენთ „ივერიის“ რედაქციაში.

თ. გ. ლ. თარხან-მოურავი

ს. ახალ-ქალაქი
იანვრის 12-ს

P. S. რაც შეეხება უმართებულესის სენატის ახალ განმარტების წესდებისა, როგორც არის მე-279 № „ივერიაში“ მოხსენებული, მე მგონი არ იყოს ახალი. ჩვენა გვაქვს ბ-ნ შინაურ საქმის მინისტრის ცირკულიარი (ОТЪ 25 Апрѣля 1884 года, за № 3), რის ძალითაც ჩვენ ვმოქმედობთ მარტო პოლიციის შემწეობით, უყიდით უთაურ მოვალეს უძრავს და მოძრავს მამულს *).

II

ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად შემდეგი წერილი:

ამ სამის თუ ოთხის თვის წინად, მე გამოვგზავნე „ივერიის“ რედაქციაში ერთი პატარა სტატია. იმ სტატიის შინაარსი გამოიწვია ბ-ნის ხონელის უსამართლოდ (ჩემის აზრით) მსჯელობამ ქალებზედ. სტატია, რედაქციის სხვა-და-სხვა მოაზრების გამო, არ დაიბეჭდა. ძალიან კარგი. რასაკვირველია, გაზეთისათვის შეუძლებელია ჰბეჭდოს ყველაფერი, რაც-კი რედაქციას დასაბეჭდად მიუვა, მაგრამ რედაქციას აქვს ნება,[1] რომ დაუბეჭდავის სტატიიდგან ამოგლიჯოს რამდენიმე ფრაზა და უალაგო ალაგას იხმაროს, იოხუნჯოს იმაზედ, ჯვარს აცვას[2] იმისი მთქმელი?

მე მგონი, მსაჯული იმისი, რომ სასაცილო იყო თუ არა დაუბეჭდავი სტატია, რომლიდგანაც ამოგლიჯეს რამდენიმე ფრაზა, მხოლოდ მკითხველია და მკითხველმა ამ შემთხვევაში როგორ გაიგოს, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი?

სხვათა შორის ამ სტატიის შესახებ „სახელდახელოში“ („ივერია“ მეორე ნომერი) ნათქვამია: „შეიყარნენ მანდილოსანნი და შემდეგი ეპისტოლე შეადგინეს „ივერიის“ რედაქციის მიმართ: «მაშ რა ქმნას საცოდავმა დედა-კაცმა თუ მთელი თავისი ყურადღება თავის თვალებსა და ფეხებს არ მიაქციოსო, როდესაც ცხადად ხედავს, რომ კაცის ყურადღება მარტო იმის თვალებზე და ფეხებზეა მიქცეულიო». რადგანაც ჩემი ნაცნობნი და უცნობნი მანდილოსანნი მისაყვედურებენ[3] მე ამ გვარის უჯიშო მსჯელობისათვის, იმათ მაგიერ მე ვალად ვრაცხ გამოვაცხადო, რომ ზემოდ ნახსენებ ჩემ სტატიაში არავისი აზრი არ შემიტანია და ყოველი იქ ნათქვამი ჩემი პირადი აზრი იყო.

ეკ. გაბაშვილისა

---

*) ჩვენც ვიცით, რომ პოლიციის წესით მოქმედობდნენ აქამდისინ ამხანაგობანი, ხოლო აქამომდე ეგ წესი კანონად დადებული არ იყო და ეხლა სენატმა გააკანონა.
რედ.

[1] სრული ნება აქვს ისე კი, როგორც ამ შემთხვევაში რედაქცია მოიქცა: არც სტატია უხსენებია, არც მისი დამწერი. ეს კიდევ არა კმარა: ისე მოიყვანა ეს სიტყვები, [illegible] არავის აეღებინა, რომ იგინი რომელისამე სტატიიდამ არიან ამოღებულნი. სახელდახელოს დამწერმა ანუსხა ეს სიტყვები ისე, რომ თქმულისა და გაგონილის ფერი დასდო და თუ თქმულისა და გაგონილის წერა აღკრძალული ყოფილა, ეს ჩვენ დღეს პირველად გვესმის.

[2] აი, თუ გნებავთ, საქმის გაზვიადება ამასა ჰქვიან: სახელდახელოს დამწერს სტატიაც კი არ უხსენებია, არამც თუ მისი ავტორი,—და ბ-ნი გაბაშვილისა კი გვარწმუნებს, რომ სტატიის ავტორს ჯვარს აცვაო. ზრდილობა ითხოვს დავეთანხმოთ, სხვა რა გზაა.
სახელდახელოს ავტორი

[3] კიდევ ვიტყვით, რომ „ივერიამ“ მოაქცია რა ეგ სიტყვები სახელდახელოში, არც სტატია ვისიმე ახსენა, არც მისი დამწერი და, საკვირველია, ჩვენს მანდილოსნებს საიდამ შეუტყვიათ ერთიცა და მეორეც? ორში ერთია: ან სტატია გამოქვეყნებული ყოფილა, ვიდრემდე რედაქციაში წარმოუდგენია მის დამწერს, ან ჩვენი მანდილოსნები გულთმისნები ყოფილან. პირველი ჩვენი ბრალი არ არის და, გვგონებთ, არც მეორე იყოს!
სახელდახელოს ავტორი

უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთი და გერმანია მეტად გულ-ამღვრეულები არიან ერთი-ერთმანერთზე და, სამზღვარ-გარეთის გაზეთების სიტყვით, ამ ორთა დიდთა სახელმწიფოთა შორის ომი უეჭველია გაზაფხულამდე ასტყდებაო. ბისმარკის სიტყვის შემდეგ საფრანგეთმა ჯარების რიგზე მოყვანასა და შეიარაღებასა უფრო გულ-მოდგინედ მიჰყო ხელი. საფრანგეთი ფიცრებსა ჰყიდულობს ჯარების სადგომების გასამართავად. „ჩრდილოეთ-გერმანიის გაზეთი“ ამბობს, რომ საფრანგეთს იმდენი ჯარი ჰყავს, რომ ყაზარმებში აღარ ეტევა და სამზღვრებზე აბინავებს მომატებულს ჯარსაო. «კელნის გაზეთი»-კი იმას ამბობს, რომ საფრანგეთთან ერთად გერმანიაც ემზადება საომრად, ხოლო გერმანია ჩუმად და ფარულად არის ომის სამზადისშიო. ლეიპციგისა და ბერლინის სტუდენტებს თავად ბისმარკისათვის თანაგრძნობის წერილი მიუწერიათ და ომის სურვილს უწონებენ. თავად ბისმარკის გაზეთში გამოცხადებულია, რომ ჯარები რაც შეიძლება ჩქარა უნდა შევაიარაღოთ და ამასთან ისიც არის ნათქვამი, რომ ჯარებს იმიტომ არ ვაიარაღებთ, რომ ომს მოველოდდეთ; დარწმუნებულნი ვართ, რომ ევროპის არეულ-დარეული საქმეები მშვიდობიანად გადასწყდება და წესიერება არ დაირღვევაო.

— საფრანგეთის გაზეთები დარწმუნებით გაიძახიან, რომ ომი საფრანგეთისა და გერმანიის შორის აუცილებელია და აუცილებელიც იმიტომ არის, რომ გერმანია მოწადინებულია ომსაო. ამას ამბობს გონიერი პუბლიცისტი ჯონ ლებუანი, რომელსაც მთელს საფრანგეთში გავარდნილი აქვს სახელი. გერმანიის იმპერატორი და მისი მოხუცებულნი მინისტრები ომს იმიტომ უფრო არიან მოწადინებულნიო, ამბობს ლებუანი, რომ უკანასკნელს ჟამს სახელი უნდათ გაითქვან, და გერმანიის სახელმწიფო მკვიდრ საფუძველზედ დაამყარონ, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ამ სახელმწიფოს დიდი უბედურება მოელისო. ლებუანი ურჩევს საფრანგეთს, რომ შენ შენის მხრით ომს-კი ნუ გამოიწვევ, მაგრამ მოლოდინი-კი გქონდეს, რომ ომი აუცილებელიაო. ფრანგები იქნება იმ აზრს კი შესჩვევიყვნენ, რომ ელზასი დავკარგეთ სამუდამოდაო და დავთმოთ გერმანიისათვის, მაგრამ ის კი არასოდეს არ დაავიწყდებათ, რომ ლოტარინგია, იოანნა დ'არკის სამშობლო, ეხლა გერმანიის ხელშიაო.

ოსმალეთი. ინგლისი ყოველს საშუალებასა ხმარობს, რომ ოსმალეთი თავის მხარეს მიიმხროს და რუსეთს განაცალკევოს. მაგალითებრ, ამას წინად „Morning Post“-ში დაბეჭდილი იყო მუქარის წერილი ოსმალეთის მიმართ. ინგლისის გაიძვერა და ხერხიანი წარმომადგენელი ოსმალეთშია და ყოველის ღონისძიებითა სცდილობს, რომ ოსმალეთი ინგლისისაკენ გადიბიროს. უაიტს ოსმალეთის ზოგიერთი ვეზირები მოუსყიდნია და ამ ვეზირებს კიდევ უჩვენებიათ აბდულ-ჰამიდისათვის „Morning Post“-ში დაბეჭდილი წერილი... ამ ამბავს უნდა მიეწეროს ის ოფიციალური შენიშვნა, რომელიც დაბეჭდილი იყო სტამბოლის გაზეთ „თარიღში“. აი რას აცხადებდა ეს გაზეთი: „რუსეთის სურვი-

---

თავი დაანებოს, ეს მხოლოდ ქალის დაჩაგრულ მდგომარეობით აიხსნება და სხვა არაფრით. ამ დაჩაგრულს მდგომარეობას სანუგეშო ნათელს ჰფენს ერთი მართლაც-და კარგი ჩვეულება: ხევსურეთში ორ-ცოლიანობა იშვიათი საქმეა და ამ იშვიათს საქმეს შესაწყნარებელი საბუთიც უნდა ჰქონდეს. ხევსური მხოლოდ მაშინ მოიყვანს მეორე ცოლს, როცა პირველი ცოლი ავად-მყოფია, უშვილოა და ან თუ მეშვილოსნეა, მარტო ქალები ეძლევა. უშვილო ცოლს, მარტო უშვილობის გამო, ქმრის ოჯახიდგან ვერავინ დაითხოვს და თუ ძალად გააგდეს, თექვსმეტი ძროხა უნდა მისცენ. მეორე ცოლის მოყვანა, რაც უნდა იყოს, სათაკილოა პირველის ცოლის ნათესაობისათვის და ამიტომ იმის მამის ოჯახს ქმარმა ხუთი ძროხა ჯარიმად უნდა გადაუხადოს.

ცოლის გაგდება, რასაკვირველია, ქალს ჰჩაგრავს, მაგრამ ეგრედ-წოდებული სამწუნობრო დიდს შეღავათს აძლევს ქალის არა-სანატრელს მდგომარეობას. „სამწუნობრო“ ჯარიმაა და ეს ჯარიმა კიდევ ადვილად გადასახადი როდია ღარიბის ხევსურისათვის. სამწუნობროდ დადებულია თექვსმეტი ძროხა. ეს კიდევ არაფერი,—საქმე ისაა, რომ სამწუნობროს ზედ ერთვის „ნამაშვრალი“. ეს უკანასკნელიც ჯარიმას მიაგავს, თუმცა კი თავისის ხასიათით ჯარიმისაგან განირჩევა. როცა ცოლს დიდხანს უცხოვრია ქმართან და ქმარი ითხოვს, აგდებს სახლიდამ, მაშინ გაგდებულს ცოლს იმდენი ძროხა უნდა მისცეს, რამდენი წელიწადიც მას ქმართან დაუყვია, მხოლოდ პირველი და უკანასკნელი წელიწადი გამოირიცხება. მაგ., თუ ცოლმა რვა წელიწადი იცხოვრა ქმართან, „ნამაშვრალში“ ექვსი ძროხა ერგება. ასეთს გონივრულს ჩვეულებას როგორიც „ნამაშვრალის“ დაწესებაა, ეკონომიური სიმართლე მიუძღვის და ეს მით უფრო, რომ ხევსურის ქალი მეტად მშრომელი და გამრჯელი ქალია. ხალხის უმზაკვრო ლოგიკას ადვილად შეუგნია ქალის ეკონომიური ძალა და «ნამაშვრალის» დაწესებით ამ ძალისათვის პატივი უცია. „ნამაშვრალი“ ხანგრძლივ ცხოვრებისათვის არის დადებული.

ვინიცობაა, წლის დამლევს ქმარმა ცოლი დაითხოვა, მაშინ „საუპატიუროს“ იხდის სამ ძროხას, ისიც თუ გაუპატიურებულმა ცოლმა მოითხოვა. ყველა ამას ერთი ჩვეულებაც უნდა დავუმატოთ. ხევსურეთში ცოლს ნება აქვს ყოველ წელიწადს ტალავარი (ტანისამოსი) მოიმზადოს. როცა ცოლს აგდებენ, მაშინ, ჩვეულების ძალით, შეუძლიან დანაკლისი ტალავარი შეისრულოს. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ „სათავნოც“ იმის საკუთრებაა და მაშინ ადვილად მიხვდებით, რომ გაგდებული ცოლი ისეთი უბედური არაა, როგორიც წინად გეგონათ,—გაგდებული დიაცი ადვილად ჰპოულობს სხვა ქმარს და ხშირად უფრო კარგს, ვიდრე პირველი ქმარი იყო. ვისა რჩება შვილები?—შვილები მამისაა, და სხვათა შორის ამ ჩვეულებით უნდა აიხსნას ის საყურადღებო მოვლენა, რომ ხევსური-მამრონი დიდი ოსტატია შვილების აღზრდაში, თავისებურად დავარჯიშებული პედაგოგია. პატარაობიდგანვე შვილები მამას უფრო ეტრფიან, გარშემო ახვევიან, იმასთან სწევანან. თუ მამის ნებაა, გაგდებულს დიაცს შეუძლიან «მაწოვარა» თან წაიყვანოს; საზრდოდ „მაწოვარას“ დადებული აქვს ერთი ძროხა, ან ოთხი ცხვარი. როცა „მაწოვარა“ გაიზრდება, მამასთან მივა და იმასთან სცხოვრობს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ხევსურეთში, როგორც საზოგადოდ საქართველოში, ვაჟი-შვილს უფრო დიდი პატივი აქვს, ვიდრე ქალიშვილს, ვაჟი-შვილის ყოლა უფრო დიდი ბედნიერებაა. აქ დიდი სირცხვილია, თუ დაქვრივებულს ქალს ობოლი ვაჟი-შვილი დარჩა და ის მაინც ხელ-მეორედ გათხოვდა... გაყრის შემდეგ პატარა ვაჟი-შვილს დედ-მამა თავს ვერ დაანებებს; ვინიცობაა, ეს პატარა რომელსამე ძმასთან გავიდა, მაშინ დედ-მამაც იმასთან უნდა გავიდეს,—პატარა ვაჟი-შვილის თავის დანებება არ შეიძლება. ამ ჩვეულების მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ გაიგებთ, როცა გაყრა გეცოდინებათ და აი ეს გაყრაც:

თუმცა საოჯახო ქონება მთელის ოჯახის საკუთრებაა და დედა-მამა ოჯახში უფროსებად ითვლებიან, მაგრამ, გაყრის დროს, არც მამას და არც დედას არაფერი არ ერგებათ; ქონებას და მამულს ვაჟი-შვილები იყოფენ თანასწორად, მხოლოდ უფროსი ძმა „საუფროსოში“ ერთს ძროხას მეტს „აიტანს“. დედ-მამა რიგით შვილებმა უნდა შეინახონ, არჩინონ! მშობლები თითო კვირაობით ან თვეობით, რიგის კვალობაზედ, სცხოვრობენ შვილებთან: ჩვეულების ძალით, დიდი სირცხვილია, თუ შვილებმა დედ-მამა არ შეინახეს, საზრდოზედ უარი უთხრეს. მართალია, ამ ჩვეულებით უარ-მყოფელისათვის ჯარიმა არ არის დადებული, მაგრამ ზნეობითი კანონი, რომელიც ჩვეულებას საფუძვლად აქვს აღსაარებული, უფრო პატივ-სადებია ხევსურის შეხედულობით. ხევსური პირიანი და ზნეობიანი კაცია, ძვირად ულალატებს თავის მოვალეობას, ძნელად უარ-ჰყოფს მამა-პაპეულს ჩვეულებას. კიდეც ამიტომ ზნეობითი კანონი დედ-მამის შენახვის შესახებ აქ სასტიკად მოქმედობს და კანონის ასასრულებლად ჯარიმაც არ არის საჭირო.

ნ. ურბნელი

სოფ. თიანეთი
ინვარი, 1887 წ.

ლისამბრ ოსმალეთმა თავის მხრივაც ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატად სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი დაასახელა. ოსმალეთი იმიტომ მოიქცა ასე, რომ განზრახვა ჰქონდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა დაებოლავებინა ბოლგარიის საქმე; უნდოდა, რომ ჩქარა ამოერჩიათ ბოლგარიის მთავარი, ხოლო ოსმალეთისათვის სულ ერთი იყო, სამეგრელოს თავადს ნიკოლოზს ამოირჩევდნენ, თუ სხვას. ბოლოს აღმოჩნდა, რომ თვით ბოლგარები ძალიან წინააღმდეგნი არიან სამეგრელოს თავად ნიკოლოზის მთავრად ამორჩევისა. რადგანაც ოსმალეთი ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელსაც ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის მთავრის ამორჩევის საქმეში სხვა სახელმწიფოებზე მეტი ხმა და უფლება აქვს, ამიტომ სულთანი დღეის შემდეგ სულ სხვა გზას დაადგება ბოლგარიის საქმის გადასაწყვეტად და დასაბოლოვებლადაო."

ინგლისელებს იმედი მისცემიათ, რომ ოსმალეთი ეხლა ჩვენს ხელშია და უეჭველია სულთანის პოლიტიკის ხელმძღვანელი დღეის შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი უაიტი იქნებაო.

გასართობი

ძნელად დასაჯერებელი ამბავი. განთქმულს და პირველს არტისტ-ქალს მადრიდის თეატრისას ჟიოვან ნალმნდოს ამ დღესასწაულების გამო შემდეგის შინაარსის წერილები დაურიგებია თავის თაყვანის მცემელთა და მეგობრებისათვის: „მე იმდენი ჯამაგირი მეძლევა თეატრიდგან, რომ სრული საშუალება მაქვს რიგიანად ვიცხოვრო, კარგი ტანისამოსი ვიქონიო და ამას გარდა ყოველივე საჭირო ოქროული და ბრილიანტებიც შევიძინო, ამიტომ ვუკრძალავ ყველას, რომ ამ დღესასწაულებისათვის ბრილიანტეული და ოქროული არ გამომიგზავნონ. ვინც ჩემს თხოვნას არ შემისრულებს, ძალიან მაწყენინებს. ნურც ყვავილებსა და თაიგულებს გამომიგზავნიან, რადგან სახლში ამ მხრივ არა მაკლია-რა. ტკბილეულობაზედაც ტყუილად გაირჯებიან, რადგან ჩემი „კანდიტერი" ერთ უპირველესს „კანდიტერთაგანია" მთელს მადრიდში." აბა ძნელად დასაჯერებელი ამბავი თუ გინდათ, ეს არის.

**

შუშის დაკოწიწება. აი შუშის დასაკოწიწებლად რა უბრალო საშუალება აღმოუჩენიათ. უნდა გაირეცხოს კარგად გატეხილი ადგილი და კარგად გამშრალდეს. შემდეგ ერთი თავი ხახვი გაწმინდეთ და შუშას წაუსვით გატეხილს ადგილზედ, მერე მიაკარით და რამდენსამე წუთს ხელში გეჭიროთ, რომ მიეკოწიწნენ ერთმანერთს გატეხილი ნაჭრები. ბოლოს სადმე დადეთ უძრავად და ორ-სამს დღეს ხელს ნუ ახლებთ. ისე მაგრად მიეკოწიწება, რომ გინიცობაა გატეხვა იყოს, სხვა ალაგას უფრო ჩქარა გატყდება, გიდრე იქა, სადაც მიაკოწიწეთო.

**

საუცხოვო სანახავი. ამ დღეებში იტალიელები ერთის საუცხოვო მოვლენის მნახველნი ყოფილან. ცას თხელი ღრუბლები გადაჰფაროდა და ამ ღრუბლებში ლურჯად მოკამკამე ზღვა მოჩანდა. ზღვის ზვირთებში პაწია ნავები ქანაობდნენ და დიდრონი გემები საშინელის სისწრაფით წყალს აპობდნენ და შორს სადღაც ჰქრებოდნენ. გაჰქრა ეს საუცხოვო სანახავი და თან მოჰყვა მეორე: ცა მოიჭედა სახლებით, სასახლეებით, ეკკლესიებით; ამ ეკკლესიებში ყველამ იცნა ვენეციის წმინდა მარკოზის ეკკლესია თავის მაღალის სამრეკლოთი. ხალხი სიამოვნებით შესცქეროდა და სტკბებოდა ამ საუცხოვო სანახავით, გიდრე სქელი ღრუბელი არ გადაეფარა ცას და სრულიად არ გაჰქრა ეს სანახავი.

დეპეშა

19 იანვარი

პეტერბურგი. 'სავექსელო კურსმა ძრიელ დაიწია ძირს: სალონდონოდ —$22^{1}/_{16}$ —$22^{3}/_{32}$, საბერლინოდ — $187^{3}/_{4}$, საპარიჟოდ $233^{1}/_{2}$. ხუთ-მანათიანი ოქრო ღირს 8 მან. 96 კ.

ბერლინი. ოფიციალურმა გაზეთმა „Morning Post"-მა დაბეჭდა წერილი ამ სათაურით «წვერსა ზედა მახვილისასა» და ამბობს, რომ საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა ბულანჟემ, რომლის სამსახურიდამ გადაგდებასაც საზოგადოდ სთვლიდნენ მშვიდობიანობის დასაცველად, არა თუ უფრო მაგრად მოიკიდა ფეხი, არამედ ისე მტკიცედ სდგას, რომ ხელსაც ვერავინ შეახებსო. ბულანჟეს არ შეუძლიან მშვიდობიანობისათვის იმოქმედოსო. თავის სახელსა და დიდებას, რომელიც უფრო მეტია, გიდრე სახელი და დიდება ტიერისა და გამბეტასი, იმითი თუ შეინარჩუნებს, რომ ომს სურვილს უფრო გაუმღიერებს ერსაო. საფრანგეთი გაცხარებული იხსავს თოფიარაღს და ბულანჟეს არ შეუძლიან მშვიდობიანობის გზაზე დააყენოს ქვეყანაო.

ლონდონი. «რეიტერის» სააგენტოს სწერენ დეპეშით ბომბეიდამ, რომ დურანიების ტომმა, ყანდარის გუბერნატორის-მიერ შეგულიანებულმა, იერიში მიიტანა 8 იანვარს ხოჯენის ახლო ყალა-აბდალას ციხეზედ. ამ ტომს განზრახვა ჰქონდა მოეკლა ბრიტანიის იქაური სადიპლომატო პრეზიდენტი და მთავარი ინჟინერი ქვეითის რკინის გზისაო. მაგრამ ესენი იმ დროს იმ ციხეში არ იყვნენო. დურანებმა მოჰკლეს ხანი და ასამდე ყულიებიო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

იანვარი 31 დღით არის.

21 დღე ოთხშაბათი. ღირს. მაქსიმე აღმსარებ. მოწ. ნეოფიტესი. სომეხ. მარხვა. კათოლიკ. ევგენია და ერნესტისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—12, ჩადის 5—16. მთვარე ჩადის 1—3 დილ.

22 დღე ხუთშაბათი. წმ. ტიმოთე მოციქულ., მოწ. ანასტასია. სომეხ. წმ. კვირიაკე, დედისა მის იულიტასი; ვაჰან გოლთნელ.; წმ. მოწ. გორდია და სხვა. კათოლ. ვიკენტი და ანასტასიისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—11, ჩადის 5—17. მთვარე ჩადის 2—3 დილ. მთვარე 10 დღისაა.

23 დღე პარასკევი. წმ. მოწ. კლიმენტი ეპისკოპ. ანკვირელ. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14, ტფილისში მზე ამოდის 7—10, ჩადის 5—19, მთვარე ჩადის 3—3 დილ. მთვარე 11 დღისაა.

განცხადებანი

ახალი წიგნი
(რუსულს ენაზედ)

„კერძო და სადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—33)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1887 ГОДЪ
НА
иллюстрированный, художественный, литературный, семейный журналъ

БЕЗЪ ДОСТАВКИ
на 1887 годъ
5 РУБ.

„РАДУГА"
V-Й ГОДЪ ИЗДАНІЯ.

съ доставкой и пересылкой гг. иногороднымъ
на 1887 годъ
6 РУБ.

Чутко прислушиваясь къ требованіямъ русской интеллигентной публики, Редакція „РАДУГИ" постоянно и внимательно стараясь усовершенствовать свое изданіе, достигла, наконецъ, въ 1885 году такого успѣха, какимъ до сихъ поръ не могъ похвалиться ни одинъ издаваемый въ Россіи журналъ. Подписка на 1886 году была такъ сильна, что Редакція въ началѣ года не была въ состояніи сразу удовлетворить всѣхъ подписчиковъ, и вынуждена была выпустить четыре изданія, т. е. четыре раза допечатывать всѣ вышедшіе уже номера, чтобы имѣть возможность удовлетворить большой наплывъ вновь поступающихъ подписчиковъ и, несмотря на все это, уже въ серединѣ года, Редакція была поставлена въ необходимость заявить въ газетахъ, что она оставляетъ за собою право прекратить дальнѣйшій пріемъ подписки, на 1886 годъ, такъ какъ отъ всѣхъ четырехъ изданій, къ тому времени, осталось только нѣсколько десятковъ экземпляровъ. Такое усиленное требованіе на „РАДУГУ", слѣдовательно, доказываетъ, насколько соотвѣтствуетъ журналъ духу времени, насколько онъ удовлетворяетъ общей надобности и вкусу.

Русская періодическая печать почти единогласно признала успѣхъ „РАДУГИ",—успѣхъ, достигнутый громадными и постоянными жертвами со стороны Редакціи, идущей неуклонно впередъ по разъ намѣченному пути, и поставившей себѣ цѣлью,—дать возможность всякому, за низкую плату, пользоваться хорошимъ, всестороннимъ и притомъ изящнымъ журналомъ.

Въ настоящее время „Радуга" уже не нуждается въ рекламѣ, она проложила себѣ дорогу, и можетъ гордиться сознаніемъ—что не только въ Россіи, но даже заграницей не существуетъ другаго журнала, который за такую малую цѣну далъ бы такую массу разнообразнаго матеріала, такъ много безплатныхъ литературныхъ и музыкальныхъ приложеній и сверхъ всего, такую прекрасную безплатную премію, какую даетъ своимъ подписчикамъ „Радуга".

ВЪ „РАДУГѢ" ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ СЛѢДУЮЩІЕ, ХОРОШО ИЗВѢСТНЫЕ РУССКОЙ ЧИТАЮЩЕЙ ПУБЛИКѢ, ЛИТЕРАТУРНЫЯ ИМЕНА:

Н. П. Аксаковъ.
Вл. Александровъ.
В. П. Бефани.
П. П. Бобровъ.
Р. гарднеръ.
И. П. Деспотули.
Д. С. Дмитріевъ.
М. К. Іогель.
В. А. Крыловъ (Александровъ).
Н. С. Лѣсковъ
А. Н. Майковъ.
Д. Д. Минаевъ.
И. М. Невѣжинъ.
Вл. Ив. Немировичъ-Данченко,
Л. И. Пальминъ.
Я. Паперъ
Н. А. Потѣхинъ.
А. Плещеевъ.
Л Ретюнская.
Князь Сумбатовъ (Южинъ).
В. Статкевичъ-Добрыва.
Ник. Угрюмовъ.
Фальковскій.
С. Н. Филипповъ.
П. В. Флотовъ.
Н. А. Чаевъ.
С. А. Юрьевъ.
М. Яронъ.
П. М. Ѳеодоровъ (редакторъ "Новаго Времени"). Н. и другіе.

Въ 1887 году будитъ продолжать участвовать лучшія литературныя силы, число которыхъ постоянно увеличивается.

Въ портфелѣ Редакціи находится масса, полныхъ живѣйшаго интереса, романовъ, повѣстей, разсказовъ, драматическихъ сочиненій и т. д., предназначенныхъ къ напечатанію къ «Радугѣ» 1887 года, между прочими слѣдующія:

„Татьяна Тулузина" большой романъ М. К. Іогеля. Продолженіе романа „Слѣпцы".
„Подъ шумъ большаго города". Эскизы столичной жизни С. Н. Филиппова.
„Мятежникъ" Фотограф. негативъ В. П. Бефани.
„Репьевы". Повѣсть И. Деспотули.
„Купріяновъ и Полушкинъ". Набросокъ карандашемъ В. П. Бефани.
„Исторія Смѣха". Юмористическій очеркъ Н. П. Аксакова.
„Тоска по Идеалу". Романъ И. П. Деспотули.
„Савва Ильичъ". Комедія фарсъ въ 4 дѣйствіяхъ —продолженіе пьесы „Разрушеніе Помпеи" Д. А. Мансфельда.
„Бѣдокурка". Комедія въ 4 дѣйствіяхъ П. М. Невѣжина и много другихъ.

Въ «Радугѣ» 1887 года, по примѣру прошлаго года, будутъ помѣщены нѣсколько премированныхъ ребусовъ.;

Укрѣпляя такимъ образомъ за „РАДУГОЙ" пріобрѣтенную ею репутацію самаго всесторонняго, самаго полнаго еженедѣльнаго иллюстрированнаго, семейнаго журнала Россіи, Редакція вмѣстѣ съ тѣмъ и въ 1887 году не ограничится тѣмъ составомъ, которымъ „Радуга" до сихъ поръ отличалась передъ другими подобными журналами, а

дасть въ 1887 году, къ существующимъ уже еще одно новое безплатное приложеніе, а именно:

ЮМОРИСТИЧЕСКІЙ АЛЬБОМЪ РАДУГИ

здоровый, безобидный юморъ, анекдоты, юмористическіе разсказы, приключенія, шутки и т. д. со множествомъ иллюстрацій въ текстѣ къ разсказамъ и анекдотамъ.

ТАКИМЪ ОБРАЗОМЪ, КАЖДЫЙ ПОДПИСЧИКЪ РАДУГИ ПОЛУЧИТЪ ВЪ ТЕЧЕНІИ ГОДА:

50 №№ журнала „Радуга"
25 №№ журнала „Сцена и Аккордъ"
12 №№ журнала „Салонъ".
12 №№ журнала „Парижскія Моды".
6 №№ журнала „Дачная жизнь".
25 №№ нотъ (около 50 піесъ въ годъ).

И СВЕРХЪ ВСЕГО ЭТОГО СОВЕРШЕННО БЕЗПЛАТНО РОСКОШНУЮ ПРЕМІЮ,

ДЕНЬ И НОЧЬ.
(АЛЛЕГОРІЯ).

Великолѣпная олеографическая картина, художественно-исполненная въ лучшемъ артистическомъ заведеніи заграницей, Подписчики „РАДУГИ" хорошо знаютъ, какъ щедра Редакція на свои преміи. Она не жалѣетъ средствъ, чтобы доставить своимъ подписчикамъ лучшее, что только существуетъ въ этомъ родѣ. За преміи предъидущихъ годовъ Редакція получила множество признательныхъ отзывовъ и благодарственныхъ писемъ, а о преміи 1886 года „Юдифь" былъ общій отзывъ, что „такой преміи еще не было". Премія же 1887 года

„ДЕНЬ И НОЧЬ"

превосходитъ далеко даже премію 1886 года, и мы смѣло можемъ сказать, что и въ этомъ отношеніи мы внѣ конкурренціи: лучшей преміи даже трудно себѣ представить. Премія эта будетъ совершенно безплатная, и ни за пересылку по почтѣ, ни за упаковку Редакція никакой дополнительной платы не потребуетъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1887 ГОДЪ:

Безъ доставки въ Москвѣ . . . . 5 руб.
Съ доставкой въ Москвѣ и пересылкой во всѣ города Россійской Имперіи, считая и упаковку, и пересылку и страховыя преміи . 6 „
Заграницу съ пересылкою . . . . 8 „
На 1/2 года съ доставкою и пересылкою во всѣ города Россійской Имперіи . . . . 4 руб.
На три мѣсяца . . . . 2 „

Подписка принимается во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Россіи. Въ С.-Петербургѣ въ отдѣленіяхъ Конторы Редакціи „РАДУГИ" 1) при книжномъ магазинѣ ФЕНУ и К-,°, на невскомъ проспектѣ близь Пассажа; 2) при конторѣ Ф. Петрикъ, Невскій пр. № 8,

Гг. *иногородные подписчики адресуютъ прямо въ Редакцію журнала „РАДУГА", Москва, Столешниковъ переулокъ, домъ Карзинкина.*

Допускается разсрочка подписной платы: при подпискѣ 2 руб., 1-го марта 2 руб., 1 іюня 1 руб. и 1-го сентября 1 руб.

Гг. служащіе могутъ подписаться за ручательствомъ своихъ казначеевъ съ разсрочкой при подпискѣ 1 руб.—затѣмъ, остальныя деньги ежемѣсячно по 50 коп.

(5—4) Редакторъ **Д. А. Мансфельдъ.** Издатель **Л. Метцль.**

Дозв. ценз. Тиф. 20 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე